



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება: **ბ68.68220411**
 თარიღი: **10/02/2022**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების დაწყებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61- ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების დაწყებასთან დაკავშირებით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) დავით დევდარიანი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ჯგუფის თავმჯდომარე.

ბ) მანანა ბარბაქაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ჯგუფის წევრი.

გ) კახაბერ გოლუბიანი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - ჯგუფის წევრი.

დ) პეტრე შარიქაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ჯგუფის წევრი.

ე) ვლადიმერ გელაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ჯგუფის წევრი.

ვ) ინგა თურქაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში.

ზ) ინგა ბერაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ჯგუფის წევრი.

2. განისაზღვროს სამუშაო ჯგუფის წევრების ფუნქციები შემდეგი სახით:

ა) დავით დევდარიანი - ჯგუფის თავმჯდომარე - პროცესის საერთო

ხელმძღვანელობა, ანგარიშგება მერთან.

ბ) მანანა ბარბაქაძე - ჯგუფის წევრი - საკრებულოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ხართვა პროგრამის განხორციელების პროცესში.

გ) კახაბერ გოლუბიანი - ჯგუფის წევრი - ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საერთო კრებების/კონსულტაციების ჩატარების ორგანიზება, მატერიალურ -ტექნიკური მხარდაჭერის ჩათვლით.

დ) პეტრე შარიქაძე - ჯგუფის წევრი - საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება.

ე) ვლადიმერ გელაშვილი- ჯგუფის წევრი- პროცესის წარმართვისათვის საჭირო თანხების მობილიზების წინადადებების მომზადება, საპროექტო წინადადებების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების საკითხის განხილვა.

ვ) ინგა ბერაძე -ჯგუფის წევრი-მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება, მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტის facebook - გვერდის მეშვეობით, ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის მეშვეობით, მერის წარმომადგენლების მხარდაჭერა საინფორმაციო კამპანიის დასახლებებში წარმართვისათვის.

ზ) ინგა თურქაძე - ჯგუფის წევრი- მერის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, საერთო კრებების ჩატარების პროცესში სამართლებრივი კონსულტაციებით მხარდაჭერა.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 180-ე მუხლით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ხარაგაულის მაგისტრატ სასამართლოში (მის: დ. ხარაგაული, სოლომონ მეფის ქუჩა N48).

კობა ლურსმანაშვილი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

